გვჭირდება თუ არა გაზეთი

გვ. 2

ფოთის საკრებულოში უმრავლესობა ,,ქართულ ოცნებას,, ექნება

გვ.2

ჭოპვარი თვალსაჯერელოში

ფასი 1 ლარი №21 4 - 11 ოქტომბერი 2021 წელი გამოდის სამშაბათობით

ფოთში ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გვ. 3

გაუქმებული პარკირება, ჩაშლილი ტენდერი, ,,თვითმარქვია სტაიანშიკები,,...

გვ. 3

გია ლიფონავა: ,,რაც 30 წელი არ გაკეთებულა, იმას აკეთებენ ჩემი თანამშრომლები,,...

გვ. 4

გათავისუფლებული თანამშრომელი ,,აჭარა ტექსტილს,, უკანონობაში ადანაშაულებს...

ლორიტა გელენიძე: , ,ოდესმე ხომ უნდა დაგვიცვას სახელმწიფომ?,,

გვ. 5

რის შეცვლას აპირებს რამაზ იოსელიანი

გვ. 5

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

წინასწარი მონაცემებით სამეგრელოში მე-2 ტური ჩატარდება

ივეტა პაჭკორია
ფოთი

სამეგრელოს რეგიონში თვითმმართველობის არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პროცედურული დარღვევების გამო გამოწვეულ ხმაურს.

რაც შეეხება დარღვევებს, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიებში განმარტავდნენ, ძირითადად პროცედურული ხასიათის იყო, რომელსაც შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. წინასწარი მონაცემებით, სამეგრელოს რეგიონში მე-2 ტური ჩატარდება.

არჩევნების მეორე ტურს არ ელოდა ფოთის მართველი გუნდის მერობის კანდიდატი ბექა ვაჭარაძე. როგორც აღნიშნავს, მისთვის მნიშვნელოვანია საკრებულოში უმრავლესობით მოსვლა: "პირველ რიგში, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოში გვეყოლება უმრავლესობა. მე ყველანაირი საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ პირველ ტურში დავასრულებდი. მადლობა, მინდა მხარდაჭერისთვის გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს. მიუხედავად იმ არნახული მასშტაბის დეზინფორმაციისა, მე პირველ ადგილზე გავედი და საკმაოდ დამაჯერებელი შედეგი გვაქვს იმისათვის, რომ ვიფიქროთ - მეორე ტურში ღირსეულ გამარჯვებას მივაღწევთ!. ჩემი ოპონენტი საკმაოდ ბევრ რამეს იგონებდა, იგონებს და მოიგონებს მომავალშიც. მე ვიცი, რომ მას სინდისი არ გააჩნია. ჩვენ ძალიან ღირსეული კამპანია ჩავატარეთ. მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოქმედებდა ის ჩვენს წინააღმდეგ და ასე გავაგრძელებთ მეორე ტურშიც და ასევე ღირსეულ გამარჯვებას მოვიპოვებთ",- განაცხადა ვაჭარაძემ.

გაერთიანებული ოპოზიციის ფოთის მერობის კანდიდატი გიგი უგულავა კი უკმაყოფილებას გამოთქვამს საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით: „ჩვენ ვნახეთ, რომ სრულიად სამარცხვინო ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო ადმინისტრაცია გვყავს. პრაქტიკულად, დილის რვა

დასასრული 2-გვ.

ლუკა კაზანჯი: ,,კოლხეთი, იბერია და ქალდია მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია,,

გვ. 6

,,კოლხეთი -1913,, ძველი დიდების დაბრუნებას გეგმავს...

გვ.7

გვჭირდება თუ არა გაზეთი

მავანთა აზრით, გაზეთის კითხვა მოდაში არ არის, მაგრამ ყველა გაზეთს ყავს მკითხველი და ჩვენც ვცდილობთ ქალაქს ჩვენი თავისუფალი გაზეთი შევუნარჩუნოთ დიდი შრომისა და ენთუზიაზმის ფასად. მინდა აღვნიშნო, რომ გაზეთი არაერთი ჯილდოს მფლობელია, არაერთხელ მიენიჭა რეგიონში ყველაზე ობიექტური გაზეთის სტატუსი. ზემოთ თავისუფალი ტყუილად არ მიხსენებია - ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ გაზეთი დამოუკიდებელია და მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, წლებია, არსებობს თვითდაფინანსებით. გვყავს გაზეთის ხელმომწერები ჩვენი აქტიური მკითხველების სახით, რომელთა რაოდენობა, სამწუხაროდ, წლიდან წლამდე კლებულობს არა ჩვენი გაზეთის, არამედ მათი სოციალური მდგომარეობის გაუარესების გამო. ჩვენ, ჩვენი მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, მონდომებას არ ვაკლებთ, რომ მოსახლეობას დაბალანსებული, ობიექტური, საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციები მივაწოდოთ.

ყოველი წლის დასაწყისში, საკმაოდ „ასაკოვანი“ გაზეთი, დახურვას რომ გადავარჩინოთ, აახლებს ხელმომწერებთან ხელშეკრულებებს და ცდილობს ახალი მკითხველის მოზიდვასაც. ამ პროცესების დროს, ყოველ წელს „საინტერესო“ აზრები გვესმის გამომწერებისაგან, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი მსხვილი მეწარმის მიერ ნათქვამმა ნამდვილად „შოკში“ ჩაგვაგდო - ერთ-ერთმა მსხვილმა ფოთელმა ბიზნესმენმა (სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) გაზეთის გამოწერაზე უარი გვითხრა და დასძინა: „მე გამოწერილი მაქვს უკვე სხვა გაზეთი და მჭირდება გაზეთი მე? საწყენად არ ვამბობ, მაგრამ არ მჭირდება. მხოლოდ ვეხმარები ერთ გაზეთს, მოდი მე მას დავეხმარები და თქვენ სხვა დაგეხმაროთ“. როგორც გითხარით, ბევრი „ბრძნული“ აზრი მოგვისმენია, მაგრამ ასეთ უტაქტობას ჯერ არ გადავყრივართ. ჩვენი გაზეთი რაიმე ანაზღაურების თუ სხვადასხვა გარიგების ხარჯზე არ არსებობს. არც ზემოხსენებული კომპანიის მიერ გამოწერილი რამდენიმე გაზეთის საფასური გაამდიდრებდა ჩვენს ბიუჯეტს, აქ საუბარია დამოკიდებულებაზე, რომელიც უნდა გააჩნდეს ბიზნესმენს და გაზეთის კითხვას თუ დაიწყებენ, მინდა დავარწმუნო ისინი, არ იქნებოდა ურიგო მათთვის. საერთოდ, ჩვენ დიდი ხანია ვრწმუნდებით, რომ დიდი ალბათობით, ჩვენი „ქებული“ ბიზნესმენებ- საჯარო მოხელეებ -თანამდებობის პირებიანა არც პრესას ეცნობიან და, საერთოდ, კითხვასთანაც მწყრალად არიან. არადა, გვებადება კითხვა, არ უნდა გაინტერესებდეს შენს ქალაქში ან იქ, სადაც შენს კაპიტალს ავსებ, მილიონებით ჯიბეებს ივსებ, რა ხდება?

როგორც გითხარით, მსგავს შემთხვევებს ხშირად ვაწყდებით, საერთოდ, ჟურნალისტების დანახვა რატომღაც არასასიამოვნოა ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანთა ნაწილისათვის. ერთ-ერთი მსხვილი გადამზიდი კომპანიის წარმომადგენელმა პირდაპირ მოგვახალა - საერთოდ არ ვკითხულობ ბეჭდურ მედიასო და როდესაც ჩვენი გაოცებული სახეები დაინახა, „აგვიხსნა“ - ინტერნეტიდან ვიღებ ყველანაირ ინფორმაციასო. წიგნს კითხულობთ? წიგნის კითხვა თუ მომინდება, ისიც აქ მაქვსო და კვლავ კომპიუტერზე გვანიშნა. არადა, მაგიდა და თარო წიგნებით იყო სავსე, ალბათ მოდის გამო თუ ეწყო ისინი გამოსაჩენ ადგილზე.

მინდა მივმართო მათ, ვისაც კორპორაციული პასუხისმგებლობის ძალიან დაბალი დონე გააჩნია, ვისაც ამ ქალაქში არსებული ბიზნესიდან მოგებული თანხების მცირეოდენი ნაწილის ამ ქალაქშივე დახარჯვაზეც ხელი უკანკალებთ, ჩვენ არ გვითხოვია თქვენთვის ფული. გაზეთი ჩვენი პროდუქტია, რომელსაც ვქმნით ღირსებით ჩვენ, ჟურნალისტები. ჩვენი შექმნილი პროდუქტი არის ასევე ჩვენი მატერიალური უზრუნველყოფა, ჩვენ მას ვყიდით და თქვენი გაზულუქებული მდგომარეობიდან ვერ მივიღებთ თქვენგან შეურაცხყოფას და დამცირებას. ისე, მეგობრული რჩევა მინდა „კითხვის მოძულეებს“ მივცე - ის, რომ გაზეთს და წიგნს არ კითხულობთ, არ მეტყველებს თქვენს კულტურაზე, უფრო პირიქით და დროა, ეს შეიგნოთ.

და აუცილებლად გვინდა პატივისცემით შევეხმიანოთ ჩვენს ერთგულ მკითხველ და გამომწერ ბიზნესმენებს, რომელთა თანადგომითა და მხარდაჭერით აქამდე მოვედით.

ზოგი ბიზნესმენისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები მოვისმინეთ საზოგადოების ნაწილისგან ბეჭდურ მედიაზე...

ირმა კეკელიძე, ჟურნალისტი: „გაზეთი იმდენად აცოცხლებს ქრონიკას, იმდენად გიყვება ყოველდღიურობაზე, იმდენად ხელშესახები და ცოცხალია როგორც ორგანიზმი, რომ მე პირადად, როდესაც მეცხრამეტე საუკუნის პრესას თვალს ვადევნებ და ფურცლებს ვეხები, მგონია, იმ ეპოქაში გადავდივარ. ჩემი აზრით, სულ სხვა ღირებულება და ფასეულობა აქვს გაზეთს. მნიშვნელოვანია მკითხველისთვის, რომ გაზეთმა იარსებოს“.

ქეთევანი, გაზეთის მკითხველი - „გაზეთი და ზოგადად კითხვა, სულიერი საზრდოა, რომელიც ყველა ადამიანისთვის აუცილებელია. კითხვაც კი არ უნდა იბადებოდეს, არის თუ არა საჭირო გაზეთი. მე ყოველთვის ვეცნობი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ პრესას და ველოდები მათ გამოსვლას“.

ლუკა კაზანჯი, სტუდენტი: „გაზეთი არის ის, რაც ანვითარებს ჩვენს ცნობიერებას, როგორც ნაპოლეონი იტყოდა „ერთ კარგად დაწერილ გაზეთს გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ასი ათას კარგად შეიარაღებულ რეგვენ ჯარისკაცს“. გაზეთი არის ის, რაც ცნობიერ გარდატეხას ახორციელებს და საერთო ჯამში გაზეთთა დიდი ნაწილი, მათ შორის თქვენი გაზეთი, ემსახურება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ამ გზით შემოქმედებითი საქმიანობის ახალ სიბრტყეში გადატანას ანუ აზრობრივ ევოლუციას. გაზეთი, ჩემი აზრით, უკვე იქცა ახალი ტიპის აზრობრივი ინფორმაციის წარმომშობ ასოციაციურ სამყაროდ, რომელმაც მოაწესრიგა სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური ურთიერთობები მოსახლეობის ფენებს შორის. ჩემი აზრით, ინტერნეტი, მიუხედავად მისი განუსაზღვრელი ინტელექტუალური თუ ტექნიკური შესაძლებლობებისა, ვერასოდეს ვერ ჩაანაცვლებს ვერც წიგნს და ვერც გაზეთს, იმიტომ, რომ რაც ინტერნეტში აიტვირთა, ოდესღაც წაიშლება, ხოლო რაც ფურცელზე დარჩა“.

შალვა გეთია, მკითხველი: „იყო დრო, როდესაც როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი გამოცემის ყველა გაზეთს ვკითხულობდი. ქალაქში რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა, ახლა არც საყიდელი თანხა მაქვს და არც ადგილობრივი გაზეთი გამოდის ბევრი. თქვენს გაზეთს ყოველთვის ველოდები, გაზეთის კითხვა ეს ყოველდღიურობა უნდა იყოს და ვისაც შეუძლია, გამოწერილიც უნდა ქონდეს. თუ ჩემნაირი ვერ გამოიწერს, ბიზნესმენების და საწარმოების მეტი რა არის? ეს უნდა იყოს მათი არა მარტო კორპორატიული პასუხისმგებლობა, არამედ აუცილებლობა, რათა თვალი ადევნონ მათ ქალაქში მიმდინარე მოვლენებს და თან ხელი შეუწყონ გაზეთის არსებობას და მის განვითარებას. ვიცი, რომ დამოუკიდებელ გაზეთებს რეგიონებში უჭირთ არსებობა და რა მოხდება, თუ ბიზნესმენები გამოიწერენ რამდენიმე ცალს და დაეხმარებიან გაზეთს? არც არაფერი, მაგრამ ადამიანებს უკვე ყველაფერი არაფრად მიაჩნიათ“.

ფოთის საკრებულოში უმრავლესობა „ქართულ ოცნებას„ ექნება

წინასწარი შედეგებით, ფოთის საკრებულოში უმრავლესობა „ქართულ ოცნებას" ექნება. უკვე ცნობილია, ფოთის საკრებულოს ახალი შემადგენლობაც. 35 მანდატიდან 20 „ქართულმა ოცნებამ", 11 „ნაციონალურმა მოძრაობამ" და 4 პარტიამ „საქართველოსთვის" მოიპოვა.

ფოთის ახალ საკრებულოში უმრავლესობით „ქართული ოცნება" იქნება წარმოდგენილი.
10 ქალი - ქართული ოცნებიდან - 4, ნაციონალურ მოძრაობიდან - 4 ქალი, პარტია საქართველოსთვის - 2.

საკრებულოში პარტია „ქართული ოცნებიდან" წარმოდგენილი იქნებიან:
ალექსანდრე ტყეებუჩავა,
ნიკა კორშია,
გვანცა გვაძაბია,
ბექა მორჩილაძე,
ზაალ კვინჩია,
მაია დოლბაია,
დავით ესებუა,
შალვა სარდალიშვილი,
ნანა ვეკუა,
ირაკლი კიკალეიშვილი,
თორნიკე ხარჩილავა,
ნანა საბულუა,
თემური დუნდუა,
ბაქარ ერაგია,
უჩა დოლიძე,
თორნიკე კირთაძე,
ოლეგ ნაჭყებია,
ნიკა იზორია,
სანდრო ქუშაშვილი,
მალხაზ ფოჩხუა.



„ნაციონალური მოძრაობიდან":
დარეჯან ცხვიტარია,
დათო ხომერიკი,
პაატა ჩაგანავა,
ანა ჯოჯუა,
მიხეილ ფირცხალავა,
დავით ბასილაია,
არჩილ ხულორდავა,
მარიამ უჩანეიშვილი,
ირაკლი ლაბარტყავა,
ჟანა ჩაჩავა,
ლაშა რუხაია.

„საქართველოსთვის":
გიგლა თურქია,
თამარ კაჭარავა,
მამუკა გვასალია,
თამარ თოფურია.

წინასწარი მონაცემებით სამეგრელოში მე-2 ტური ჩატარდება

დასაწყისი პირველი გვერდზე

საათამდე ნახევრამდეც კი არ იყო დათვლილი ხმები. ეს ჭირვეულობა რაზეც მიუთითებს, ყველანი კარგად ვხვდებით. ეს იყო იმისთვის, რომ როგორმე სასურველამდე მიეყვანათ ეს შედეგი. რაც შეეხება ფოთს, თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ მეორე ტური იქნებოდა. რეალურად ხმების ეს განსხვავება არის ჩვეულებრივი კორუფციული გარიგება, რადგანაც დიდი ფული იხარჯებოდა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს ვერაფერი. მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ფოთელს, ვინც მხარი დამიჭირა, მონაწილეობა მიიღო ამ პროცესში და მე ვფიქრობ, რომ მეორე ტურში მეტი შანსი გვექნება!. ვეცდები მეტ ადამიანს შევხვდე, მეტ ადამიანს ავუხსნა რატომ არის დამღუპველი ფოთისთვის ოლიგარქია და მისი „ხელის ბიჭები". დარწმუნებული ვარ, რომ ის გეგმები, რომელიც გვაქვს, ფოთს გამოიყვანს კრიზისიდან. საარჩევნო პროცესი გარეგნულად თითქოს იყო მშვიდი, მაგრამ გარშემო სულ რაღაც ხდებოდა: ეს არის ფულის დარიგება, ადმინისტრაციული რესურსის სრული მობილიზაცია და გამოყენება და ა.შ. ასევე უნდა აღვნიშნო, კარგი შედეგი მიიღო მესამე კანდიდატმა ბატონმა აბსარიძემ , 15 % დებიუტისთვის, ჩემის აზრით, ძალიან კარგია და მან დაამტკიცა, რომ ფოთში მხარდაჭერა აქვს".

რაც შეეხება ამომრჩეველთა აქტიურობას, რეგიონში არჩევნებზე აქტივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარტვილის №65 დაფიქსირდა, აქ 31775 ამომრჩევლიდან 20258 მოვიდა, რაც 63,75 % შეადგენს. აბაშის № 63 საარჩევნო ოლქში 20435 ამომრჩევლიდან 12960 მოვიდა, რაც 63,42 % შეადგენს; ჩხოროწყუ №69 საარჩევნო ოლქში 21528 ამომრჩევლიდან მოვიდა 13281, რაც 61,69 % შეადგენს. ხობის №66 საარჩევნო ოლქში, 27265 ამომრჩევლიდან მოვიდა 16024, რაც 58,17 % შეადგენს; სენაკი №64 საარჩევნო ოლქში 39130 ამომრჩევლიდან მოვიდა 22024, რაც 56,8 % შეადგენს. ფოთის №70 საარჩევნო ოლქში, 41059 ამომრჩევლიდან 21 3 53 მოვიდა, რაც 52.4 % შეადგენს; წალენჯიხის №68 საარჩევნო ოლქში 28737 ამომრჩევლიდან მოვიდა 14687, რაც 51,11 % შეადგენს.

ამომრჩეველთა ყველაზე ნაკლები აქტიურობა ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში დაფიქსირდა, სადაც 119849 ამომრჩევლიდან მოვიდა 52615, რაც 43,9 % შეადგენს.

არჩევნების მიმდინარეობისას ხმაურით ზუგდიდი გამოირჩეოდა, აქ რამდენიმე უბანზე მოვლენების განსამუხტად პოლიციის ჩართულობა გახდა საჭირო.

სტატია ქვეყნდება პროექტის გამჭვირვალე არჩევნები და მედია ფარგლებში.

ავტორის-ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ღია საზოგადოების ფონდი

ფოთში ბოლო 24 საათის განმავლობაში კორონავირუსის 42 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ინფორმაციით, ბოლო 24 საათის განმავლობაში საქართველოში კორონავირუსი კიდევ 2 661 ადამიანს დაუდასტურდა, გამოჯანმრთელდა 1 274 პაციენტი.

7 ოქტომბრის მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 7.22%

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები უარესდება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ეპიდემიოლოგების თქმით, ვაქცინაციის ტემპის კლებაა - აცრილთა რაოდენობა ყოველდღიურად მცირდება.

დღეს ქვეყანაში გამოვლენილი ინფიცირების 2 661 ახალი შემთხვევიდან: სამეგრელო - ზემო სვანეთი - 293, შემთვევა დაფიქსირდა.

ფოთში ბოლო 24 საათის განმავლობაში კოვიდ 19-ის 45 ახალი შემთვევა გამოვლინდა.

ევექსის ფოთის კლინიკაში იმყოფება 22 კოვიდ პაციენტი, ხოლო ფოთის ცენტრალურ საავადმყოფო ბომონდში 20.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 579 36 67 77

კორექტორი: მაია ჩხეიძე 551 522 429-
თეკლა მატკავა (ფოთი) 592 19 95 99

კორესპონდენტები: ივეტა პაჭკორია (ხობი) 579 36 67 77
ნანუკა ქაჯაია - 551 53 35 42

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე.
რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ფოთში ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

უკვე წლებია ფოთში, შიდა გზებზე სავალალო მდგომარეობაა. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა მეორეხარისხოვან გზებზე, სადაც გადაადგილება არათუ ავტომობილს, ფეხით მოსიარულესაც კი უჭირს. ადგილობრივ ხელისუფლებას გზების მოუწესრიგებლობის საპასუხოდ წყალლარინების სისტემის პროექტი მოყავს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სისტემატიურად აშუქებს ქალაქში არსებულ ამ და სხვა პრობლემებს. ვიცე მერმა კოტე თოფურიამ ჯერ კიდევ გასულ წელს გვითხრა, რომ ქალაქში მიმდინარე წყალლარინების პროექტის შემსრულებლისაგან ელოდნენ ლოკაციათა ნუსხას, სად მოხდებოდა გათხრითი სამუშაოები. როგორც გაირკვა, ადგილობრივი ხელისუფლებას დროულად ვერ ან არ მიაწოდეს აღნიშნული სია, რის გამოც გასულ წელს ქალაქში არ ჩატარებულა არც ერთი ქუჩის ორმული შეკეთებაც კი. რა მდგომარეობა იქნება წელს და მოხერხდება თუ არა გზების სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ამაზე სასაუბროდ კვლავ ქალაქის ვიცე-მერ კოტე თოფურიას მივმართეთ. კითხვა, რატომ ვერ ან არ ხერხდება გზების ორმული შეკეთება, თოფურიამ სწორ ფორმულირებად არ მიიჩნია: „ვერ ხერხდება არ არის სწორი ნათქვამი, ამისათვის ამინდიც უნდა იყოს შესაბამისი, უკვე პროექტი მზად არის და საჭირო თანხა, 200 ათასი ლარი ბიუჯეტში გათვალისწინებულია. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ორჯერ მეტია გასულ წლებთან შედარებით. შარშან ვერ ჩატარდა, რადგან წყალლარინების პროექტმა ვერ მოგვცა ლოკაციები, სად უნდა შესულიყო და რომელ ქუჩაზე გაეკეთებინა სისტემა, როდესაც მოგვაწოდეს ქუჩების ლოკაცია, უკვე აზრი არ ქონდა სამუშაოების დაწყებას, რადგან ამინდები არ გვიწყობდა ხელს. წლის ბოლოს ჩვენ ჩამოვყალიბდით ქალაქის პრიორიტეტების შესაბამისობაზე მათ სამუშაოებთან. ქალაქის მხრიდან პრიორიტეტებად მიჩნეულ ქუჩებზე უკვე მუშაობენ წყალლარინების პროექტის შემსრულებლები, ამჟამად აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ჭავჭავაძის, აკაკისა და წმინდა გიორგის ქუჩებზე, ასევე მათ შემაერთებელი ქუჩებზე, რომლის დასრულების შემდეგ, ისინი გადავლენ დემეტრე თავდადებულის, ბერდიანსკის და თამარ მეფის ქუჩებზე, რომელიც ასევე პრიორიტეტულია“.

თოფურიას თქმითვე, ჭავჭავაძის, აკაკისა და წმ. გიორგის ქუჩების კაპიტალურ რემონტს საგზაო დეპარტამენტი განახორციელებს: „უკვე გადაგზავნილია პროექტები საგზაო დეპარტამენტში, მათ აღებული აქვთ ვალდებულება ამ ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე. ჩვენ შეგვიძლია მოსახლეობას სასიხარულო ამბავი ვუთხრათ - როგორც კი დამთავრება ამ ქუჩებზე წყალლარინების სამუშაოები, მაშინვე დაიწყება გზის სამშენებლო სამუშაოები. აპრილის თვეში უნდა დასრულდეს თავდადებულის, ბერდიანსკის, თამარ მეფის ქუჩები. ანალოგიურად, ამ ქუჩების რეაბილიტაციისათვის ვმუშაობთ საგზაო დეპარტამენტთან და რეგიონული განვითარების ფონდთან, რათა გზების სარეაბილიტაციო თანხა გამოიყოს ცენტრალური ბიუჯეტიდან. ამ სამი ქუჩის სარეაბილიტაციო თანხა შეადგენს 4 000 500 ლარს. საგზაო დეპარტამენტი ასევე გააკეთებს რეკვავას ქუჩასაც“.

როგორც ქალაქის ვიცე-მერმა გვაცნობა, პირველი ეტაპისათვის პრიორიტეტული გახდა ფუნქციურად დატვირთული გზები, ქალაქის შემოსასვლელი და ასევე ზღვამდე მისასვლელი გზები. მიმდინარე წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანებით ქალაქს გადმოეცემა ავტობუსები. ავტობუსებისათვის ამ ქუჩებზე უნდა მოეწყოს საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც მოსახლეობას კომფორტულად გადაადგილების საშუალებას მისცემს ამ ლოკაციებზე.

მისასალმებელია, წყალლარინების პროექტის შემსრულებელ კომპანია „კაჰალსა“ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის შემდგარი შეთანხმების საფუძველზე ქალაქის მიერ მითითებულ ლოკაციაზე დაიწყო მუშაობა.

გავრცელებულ ხმებს, თითქოს ავტობუსების ჩამომყვანმა კომპანიამ ფოთში გზები დაიწუნა, თოფურია უარყოფს: „არასწორი ინფორმაციაა, ერთადერთი მოთხოვნა იყო ავტობუსების დეპომდე მისასვლელი გზის შეკეთება. მშვიდობის ქუჩაზე კეთდება ამ ავტობუსებისათვის დეპო თანამედროვე ინფრასტრუქტურით. 21 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი ამ საკითხზე და გამარჯვებული კომპანია მოაწესრიგებს ამ საკითხს. ავტობუსების ჩამოსვლამდე კი მოწესრიგდება გზები. ორმული შეკეთება დაიწყება აპრილის თვეში, გზების სიგრძე 134 კილომეტრია და, სავარაუდოდ, დასჭირდება ერთი თვე“.

მართალია, ვიცე მერთან გზების პრობლემებზე საუბროდ გახლდით, მაგრამ ქალაქში არსებულ სხვა პრობლემებსა და მისი მოგვარების გზებზეც ვისაუბრეთ. როგორც ვიცე მერისგან გავიგეთ, გზების პარალელურად დაიწყება სანიჩბოსნო ბაზის და ცენტრალური პარკის მშენებლობა, რომლის ღირებულება 3 მილიონ ლარს შეადგენს. თოფურიას თქმით, ქალაქის მოსახლეობა ამ ზაფხულს შვებას იგრძნობს: „ქალაქში ძალიან ბევრი პრობლემაა და ყოველწლიურად ვცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას. სამწუხაროდ, ბიუჯეტი არ იძლევა ყველაფრის ერთად გაკეთების საშუალებას. ჩვენ რასაც დავპირდით ქალაქს, ეს იყო კუნძულის სანაპირო ზოლი,

დასასრული 4-გვ.

გაუქმებული პარკირება, ჩაშლილი ტენდერი, „თვითმარქვია სტაიანშიკები„...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

წლებია, ფოთში პარკირების თემა ქალაქის მოუგვარებელ საქმეთა ნუსხაში საპატიო ადგილს იკავებს, რადგან ჩვენს ქალაქში უკვე ორი წელია პარკირების სისტემა არ მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ქალაქის გარკვეულ საზოგადოებრივ ადგილებში მაინც გვხვდებიან „ამკრეფები“, ეგრეთწოდებული „სტაიანშიკები“, რომლებიც გაჩერებული ავტომობილების მძღოლებისგან გარკვეულ საფასურს იღებენ. საინტერესოა არა არარსებული პარკირების ყოფილი მუშაკების იგივე ადგილებზე დარჩენა, არამედ ის, თუ სად და ვის ჯიბეში მიდის აკრეფილი თანხის ნაწილი.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე ხუთჯერ გამოცხადდა ტენდერი პარკირებაზე და ხუთივეჯერ ჩაიშალა. როგორც გავარკვიეთ, ამის მიზეზი ან მონაწილეობის მსურველთა ნაკლებობა, ანაც მსურველების არარსებობა გახლდათ. ის ცოტაოდენი მსურველებიც სატენდერო პირობების შეუსაბამობაზე ამახვილებენ ყურადღებას. თავის მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ თავად მსურველები ვერ აკმაყოფილებენ სატენდერო პირობას.

რატომ არ ღებულობენ ტენდერში მონაწილეობას, რა პირობები არ აკმაყოფილებს ტენდერში მონაწილე კომპანიებს და რაშია პრობლემა, ეს კითხვები ფოთის ვიცე მერ კოტე თოფურიასათვის მიუღებელი აღმოჩნდა და როგორც გვითხრა, ტენდერი არა ხუთჯერ, არამედ სამჯერ გამოცხადდა: „სიმართლე ისაა, რომ არავინ მიიღო მონაწილეობა ტენდერში. ის რაც პარკირებას ეხება, აუქციონია და არა ტენდერი. ჩვენ აუქციონის წესით გვქონდა გამოტანილი ის ადგილები, სადაც უნდა მოწყობილიყო პარკირება. ამაზე უნდა დაეწესებინა ვიღაცას გადასახადი და ქალაქის ბიუჯეტში შემოეტანა იჯარის თანხა. თუ ბიზნესი ადამიანს არ ესმის, ეს უკვე ხელისუფლების პრობლემა არ არის, იმ კომპანიამ შემოიტანა ისეთი საბუთები, რომელიც არ აკმაყოფილებდა პროცედურას, შესაბამისად, მან მიიღო დისკვალიფიკაცია

და დაკარგა ის თანხა, რომელიც საგარანტიოდ ქონდა ჩარიცხული ქალაქის ბიუჯეტში. მას შემდეგ ისევ გამოვაცხადეთ იგივე პირობებით ტენდერი, მაგრამ მონაწილეობა არავინ მიიღო”- გვითხრა ვიცე მერმა.

ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს თოფურია ამბობდა, რომ ტენდერში გამარჯვებულიც კი გამოვლინდა, რომელმაც წინასწარი შენატანის სახით 20 ათასი ლარიც გადაიხადა ბიუჯეტში და წარმომადგენლების ჩამოსვლას ელოდნენ. ვიცე მერი ასევე იმ ძირითად მოთხოვნასაც ახმოვანებდა, რაც უნდა გაეთვალისწინებინა ტენდერში გამარჯვებულს, ანუ ეს მოთხოვნა გახლდათ მძღოლების მიერ პარკირების საფასურის ელექტრონულად გადახდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინა მეტენდერესაც იგივე პირობები უნდა მოეგვარებინა, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებული მოთხოვნა არ შესრულდა. თოფურიას თქმით: „სწორედ ამიტომაც შეუწყდა ხელშეკრულება წინა მეტენდერეს. მას ასევე დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინე-

დასასრული 4-გვ.

ეკომიგრანტები შავღელეში...

ინგა გვასალია
ხობი

ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ შავღელეში გასული საუკუნის 80-იან წლებში ახალი დასახლება გაჩნდა, როდესაც ხობის რაიონში შუახევის, ქედისა და ხულოს რაიონებიდან სტიქიით დაზარალებული 300 ოჯახი ჩამოასახლეს. ჩამოსახლებული ოჯახები საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი სტილის შენობებში შეასახლა. ჩამოსახლებულმა აჭარლებმა საკმაოდ ადვილად მოახერხეს ადაპტაცია ახალ გარემოში. დასახლება, თავდაპირველად, როგორც უბანი, პატარა ფოთის საკრებულოში შედიოდა. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 7 ივლისის 360 ბრძანებულების საფუძველზე შავღელეს დასახლებას სოფლის სტატუსი მიენიჭა. ამჟამად კომლთა რაოდენობა 310-ია, მოსახლეობა - 1079 ადამიანი. სოფელში 46 გვარის წარმომადგენელი ცხოვრობს.

სოფლის ცენტრში სკოლა, საბავშვო ბაღი და ამბულატორიაა განთავსებული. იქვე ჯვარია აღმართული, გასწვრივ კი საქართველოს და ევროკავშირის დროშები ფრიალებს.

1991 წელს სოფელში საჯარო სკოლა დაარსეს პედაგოგებმა არშაკ ესებუამ, მამია და იოსებ ქამაშიძეებმა და იოსებ მამულაძემ.

სოფელში, ისევე როგორც მთელ

საქართველოში, ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა.

შავღელელების დიდი ნაწილის შემოსავლის ძირითადი წყარო თურქეთში სამი თვის განმავლობაში მუშაობით მიღებული ანაზღაურებაა. მათი თქმით, ყოველწლიურად 120-ზე მეტი მოსახლე მეზობელ სახელმწიფოში სამუშაოს საძებნელად გადადის.

"ჩაის ვკრეფთ, მეტი სად უნდა ვიმუშაოთ, თურქული ჩვენ არ ვიცით და ისედაც, კაცების სამუშაო მანდ ძალიან ჭირს", - ამბობს 41 წლის მერაბ ქამადაძე. თურქეთში მუშაობის გარდა, ადგილობრივები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავს მესაქონლეობითაც ირჩენენ, თუმცა საძოვრების სიმცირის გამო მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვება ჭირს. მცირემიწიანობის გამო კი სოფლის მეურნეობა არამომგებიანია.

მოსახლეობა მისდევს მემარცვლეობას, მესაქონლეობას. აქაურ ნიადაგებზე კარგად ხარობს ციტრუსოვანი კულტურებიც. ადგილობრივი მცხოვრებლების ძირითადი სარჩო სიმინდი და რძის ნაწარმია.

სოფლის მართლმადიდებელი და მაჰმადიანი მოსახლეობა ერთმანეთთან მეგობრულ-მეზობლურად ცხოვრობენ და ლხინსაც და ჭირსაც ინაწილებენ.

შავღელელები ბოლო დროს სოფელში განხორციელებულ პროექტებზეც საუბრობენ:

„სოფელში ბოლო პერიოდში არაერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. თვალი არ უნდა ქონდეს იმას, ვინც ამ სოფელში გაკეთებულ საქმეს ვერ ხედავს. აქ არასდროს გვქონია კეთილმოწყობილი გზა, მოსვლა იყო ტანჯვა, ამჟამად ახალი 7 კილომეტრიანი გზა გვაქვს და ადამიანურად გადავაადგილდებით, სოფელში არ იყო საბავშვო ბაღი, ეს პრობლემაც მოგვარდა და ახალი საბავშვო ბაღი აგვიშენეს, სოფელს არ ქონდა ამბულატორია და ეს პრობლემაც მოგვარებულია – ახალი ამბულატორია გვაქვს. წყლის პრობლემა ერთ უბანში ერთი კვირაც არ ყოფილა, მოგვარდა, მანამდე მოხდა მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა ცისტერნებით"- გვითხრა შავღელეს მკვიდრმა ნარგიზ კაკიძემ.

გზა, რომელიც სოფელს სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო მაგისტრალთან აკავშირებს, წლების განმავლობაში ამორტიზირებული იყო და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდა.

სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია წელს განხორციელდება. რაზეც მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა ტენდერი, შესყიდვის საგარაუდო ღირებულება 2 მილიონ 369 ათას ლარს შეადგენს. სოფლის მცხოვრებლები ასევე გაზიფიცირების მოლოდინში არიან.

ფოთში ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს..

დასაწყისი 3-გვ.

რომელიც კეთდება, ქალაქის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, სანიჩბოსნო ბაზა და გზები ის პროექტებია, რომელიც გაზაფხულზე დაიწყება და ახლო მომავალში დამთავრდება. ახლო მომავალშივე მინი საფეხბურთო მოედნების 70 % გარემონტდება, ამას გარდა, მოეწყობა ტრენაჟორები, ატრაქციონები, ვაპირებთ მრავალსართულიანი ბინების გადახურვის გაგრძელებას, რომელიც პრობლემატურია. გასულ წელს 40 მრავალბინიანი სახლი გადავხურეთ, დაახლოებით იგივე რაოდენობა გვინდა წელსაც გადავხუროთ. ქალაქში 300 მრავალსართულიანი სახლია ფოთში და ერთად ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ეტაპობრივად ვეცდებით ეს პრობლემები გადავჭრათ".

წლების განმავლობაში ფოთში არა პროექტები არამედ ამ პროექტების შესრულების ხარისხის პრობლემა დგას. მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე საინტერესოა, დროულად ხარვეზების აღმოფხვრის რა მექანიზმი არსებობს დღეს. თოფურიას თქმით, ეს პრობლემაც მოგვარებული აქვთ: „როგორც შარშან, წელსაც გვყავს ხაისხზე ზედამხედველი კომპანია, რომელიც გამოვლინდა ტენდერის საშუალებით. გაწერილი აქვთ ვალდებულებები, რაც ახლავს სამუშაოს, ზედამხედველობიდან დაწყებული საბუთების რევიზიით დამთავრებული. მათი დასკვნის გარეშე, ჩვენ ხელს არ ვაწერთ არც ერთ სამუშაო პროცესს. მათ არ უნდა დაუშვან უხარისხობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ჩვენ ყურადღება არ მივაქციოთ. თითოეულ ობიექტზე ჩვენი წარმომადგენელია მიმაგრებული და ის ზედამხედველობის კომპანიასთან ერთად აკვირდება ყველა პროცესს".

გაუქმებული პარკირება, ჩაშლილი ტენდერი, „თვითმარქვია სტაიანშიკები,...

დასაწყისი 3-გვ.

ბული მოთხოვნების გამო 34 ათასი ლარის რაოდენობით გადახდა".

როგორც გავარკვიეთ, ეს ტენდერიც ჩაშლილა და მეტენდერის მიერ წინასწარ შეტანილი თანხა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ დარჩა. კულუარული ინფორმაციით, მეტენდერეს პირობები იმდენად არ მოეწონა, რომ უარი განაცხადა სამუშაოზე და გადახდილ თანხასაც შეელია.

თვითმარქვია „სტაიანშიკები" კი კვლავაც უპრობლემოდ და არხეინად აგროვებენ ფულებს და ბევრი მცდელობის მიუხედავად, ჩვენმა ჟურნალისტებმა ვერ დაადგინეს, ჯერჯერობით მაინც, ვის ჯიბეში ილექება აკრეფილი თანხები. მხოლოდ იმის გაგება მოვახერხეთ, რომ ამაზე არანაირი კონტროლი არ არსებობს.

ახალი ტენდერი კი ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის.

ვიცე მერთან საუბრისას როგორც აღმოჩნდა პარკირების სისტემას სამომავლოდ ქალაქი მოაწესრიგებს: „სამომავლოდ ქალაქი აიღებს საკუთარ თავზე პარკირების მოწესრიგებას და ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიეღო რომელიმე კომპანიას, ქალაქი აიღებს. უბრალოდ ამას სხვა რისკები ახლავს, რაც გადასახადს შეეხება, ამიტომ კარგად გასაანალიზებელი იქნება და შედეგად მივიღებთ უკვე პარკირების მუნიციპალურ სისტემას, როგორიც აქვს თბილისს" - განმარტავს ვიცე მერი თოფურია.

გათავისუფლებული თანამშრომელი „აჭარა ტექსტილს„ უკანონობაში ადანაშაულებს...

ლორიტა გელენიძე: „ოდესმე ხომ უნდა დაგვიცვას სახელმწიფომ?„

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთის სამკერვალო ფაბრიკა „აჭარა ტექსტილის“ ყოფილი თანამშრომელი ლორიტა გელენიძე ფაბრიკის დირექციას სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებაში ადანაშაულებს და სამართლის აღდგენას ცდილობს. სწორედ ამ მიზნით მოგვმართა რედაქციაში და დახმარება გვთხოვა. ამავე მიზნით მიმართა პროფკავშირულ ორგანიზაციასაც. როგორც ირკვევა, 2018 წლის 17 თებერვალს ლორიტა გელენიძესა და შპს „აჭარა ტექსტილს“ შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომელიც 2019 წლის 23 აპრილს შპს „აჭარა ტექსტილმა“ ცალმხრივად შეწყვიტა გელენიძის სამსახურში გამოუცხადებლობის მომიზეზებით. გელენიძე კი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ უმიზეზოდ სამსახური არ გაუცდენია და ამის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობაც წარადგინა სამუშაო ადგილზე. როგორც გელენიძემ გვითხრა, სამსახური ფაბრიკაში მიღებული ტრამვის გამო გააცდინა რამდენიმე დღით. რესპონდენტის თქმით, 2019 წლის ოქტომრის ბოლოს უთო, რომელზედაც ლორიტა მუშაობდა, აფეთქდა, რის შედეგადაც გელენიძემ გულმკერდისა და მკლავის დამწვრობა მიიღო. დაზარალებულს ადგილზე, ფაბრიკის მედპერსონალმა აღმოუჩინა პირველადი დახმარება, რაც დამწვარ ადგილებზე მალამოიანი ბამბისა და „სანტავიკის“ დაწებებით შემოიფარგლა. დაზარალებული გელენიძე არც სახლში გაუშვიათ და არც სამედიცინო ბრიგადა გამოუძახნია ვინმეს, ის კი არადა, გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დააყენეს უთოსთან და დღის ბოლომდე გააგრძელა მუშაობა. სახლში მისულს დამწვრობა გაურთულდა, როგორც ამბობს: „სანტავიკი“ და ბამბა როგორც კი მოვიხსენი, დამწვარ კანთან ერთად ჯანსაღი კანი ამძვრა და სისხლდენა დამეწყო, ტანსაცმელი ისედაც გასისხლიანებული მქონდა. ისე ცუდად ვიყავი, რომ ის ტკივილები, ალბათ, არასდროს დამავიწყდება. მეორე დღეს ვერ შევძელი სამსახურში წასვლა. კადრების განყოფილებიდან დამირეკა ნანამ, რომლის გვარი არ ვიცი, მომთხოვა ბიულეტენის მოტანა, რომელიც სამედიცინო კლინიკა „ლაზიკა მედში“ გავაკეთე და წარვადგინე სამსახურში“.

მკურნალობის დასრულების შემდეგ, ანუ ბიულეტინის 15 დღიანი ვადის ამოწურვის მერე, გელენიძე იძულებყლი გახდა კვლავ სამსახურში გასულიყო და ორი თვე იმუშავა კიდეც. თუმცა, როგორც თავად გვიყვება, დამწვრობის შედეგად მიღებულმა დაზიანებებმა კვლავ იჩინა თავი და ხმაც კი ჩაუწყდა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მას დამწვრობის შედეგად დაუზიანდა ხმის იოგები. ჯანმრთელობის გაუარესების გამო კვლავ მოუწია ბიულეტენზე გასვლა და მკურნალობა, რის დასრულების შემდეგ ისევ დაუბრუნდა სამუშაო ადგილს. როგორც ამტკიცებს, მკურნალობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი ხელთ აქვს და სამსახურშიც წარადგინა.

დაზარალებული გელენიძე როგორც ამბობს, სამკერვალო ფაბრიკას არანაირი ფინანსური ან სამედიცინო დახმარება არ გაუწევია მისთვის, თუ არ ჩავთვლით მალამოიანი ბამბისა და სანტავიკის დამწვარ ადგილზე დაკვრას. რასაც უფრო სავალალო შედეგი მოყვა. ფაბრიკას, სადაც ასე დაშავდა მუშა, საწარმოო ტრამვად არ ჩაუთვლია დაზიანება და არც გელენიძეს მოუთხოვია ამის დადასტურება, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, შოკში იყო და არც კი იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა: „სოციალურად დაუცველი ვარ. ამის მიუხედავად, საკუთარი ხარჯებით ვმკურნალობდი, ფაბრიკისათვის, სადაც ასეთი ტრამვა მივიღე, არანაირი დახმარება არ მითხოვია და არც შემოუთავაზებია ვინმეს“. როგორც გელენიძე ამბობს, გასული წლის 20 აპრილს დაურეკა ფაბრიკის წარმომადგენელმა ვინმე ნანამ კადრების განყოფილებიდან, რომელმაც აცნობა, რომ ბიულეტენის ვადის გადაჭარბების გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან: „იმ ფაბრიკაში დავშავდი, არ მომითხოვია არანაირი დახმარება, არც უმიზეზოდ გამიცდენია, ყველა გაცდენილი დღის ბიულეტენი მაქვს. დავურეკე გიორგი გოგორიშვილს, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. მითხრა. დავბრუნებულიყავი სამსახურში და დავბრუნდი კიდეც. ეს ადამიანი იყო მთელ იმ ფაბრიკაში ნათელი წერტილი, რომლისაგან მხოლოდ-დამხოლოდ სიკეთე მახსოვს. ორი თვის შემდეგ თურქული მხარის წარმომადგენლებმა აბდულ ბეიმ და ფიქრი ბეიმ, ნანასთან ერთად დამიბარეს და მაცნობეს, რომ მოხსნილი ვარ სამსახურიდან. როგორც გითხარით, სოციალურად დაუცველი ვარ და სამსახურის დაკარგვა ჩემთვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა, ამდენად ძალიან ცუდადაც გამხადა, მაგრამ არანაირი სამედიცინო დახმარება არავის აღმოუჩენია ჩემთვის. ჩემმა დამ წამიყვანა სახლში. მოთხოვნის მიუხედავად, არ მოგვცეს გათავისუფლების ბრძანება, პირიქით, ითხოვდნენ, დამეწერა განცხადება უფასო სამთვიანი შვებულების თხოვნით, რომლის დასრულების შემდეგ მპირდებოდნენ სამსახურში აღდგენას. ამაზე არ დავთანხმდი, რადგან სამსახურში აღდგენის არანაირი გარანტია არ მქონდა, თან კომპენსაციასაც არ მომცემდნენ, რომელიც გათავისუფლების შემთხვევაში უნდა მოეცათ ორი თვის ხელფასის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ შვებულება არ დამიწერია, კომპენსაცია მაინც არ მომცეს, არც რაიმე სახის დახმარება გაუწევიათ ჩემთვის, როგორც დაზარალებულისთვის“.

გელენიძე ფაბრიკის ადმინისტრაციას უყურადღებობაში, კომპენსაციის გადაუხდელობაში, ხოლო ნანას ზეწოლასა და ქრთამის აღებაში ადანაშაულებს: „როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო არ დავდიოდი სამსახურში, ნანა ჩემს დას პირდებოდა, რომ მე სამსახურს შემინარჩუნებდა და ჩემი დაც თურმე უზიდავდა საჩუქრებს ამ ნანას. ბოლოს პროცენტიანი ვალის აღებაც მომთხოვა, რომელიც ვერ ვუშოვე. ვფიქრობ, ეს გახდა ჩემი ათვალწუნების მიზეზი და საბოლოოდ მოახერხა სამსახურიდან ჩემი გათავისუფლება. როგორც მერე გავიგე, ნანას კიდევ ერთ თანამშრომლისათვის უთხოვია იგივე ვალის აღება, მაგრამ არც ის „დახმარებია“ და გაუთავისუფლებიათ ქარნიდან. ამით კიდევ უფრო გამძაფრდა ჩემი ეჭვი, რომ ეს გახდა ჩვენი დათხოვნის მიზეზი“.

სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის მიუხედავად, გელენიძეს გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უთო, რომელზედაც გელენიძე მუშაობდა, დამონტაჟებული იყო თხევად აირზე, აფეთქების გამო გელენიძემ მიიღო დამწვრობა და ასევე მოიწამლა, კერძოდ, დაუზიანდა ხმის იოგები და კუჭქვეშა ჯირკვალი. დავინტერესდით, რატომ არ მიენიჭა ფაქტს საწარმოო ტრამვის სტატუსი ან რატომ არ დაეხმარა საწარმო სამუშაო ადგილზე დაზარალებულ მუშას. გელენიძე ამბობს, რომ მოთხოვნის პასუხად მათ აშინებდნენ: „ფაბრიკის ადმინისტრაციის ქართველი თანამშრომლები მეუბნებოდნენ, რომ „აჭარა ტექსტილს“ ისეთი ძლიერი იურისტები ყავს ჩამოყვანილი, ვერ მოგვერევითო. დეკემბრის თვეში სამარცხვინოდ გამომიგზავნეს გათავისუფლების ბრძანება, რომელშიც წერია, თითქოს მე არ ვემორჩილებოდი შინაგანაწესს. ყველა გაცდენის მიზეზი მკურნალობა იყო, რომელიც მათივე ფაბრიკაში მომხდარი შემთხვევის გამო იყო საჭირო და ყველა ბიულეტენი მიტანილი მაქვს. აღნიშნულ შემთხვევამდე არანაირი გაფრთხილება არ მქონია, პირიქით, კარგი თანამშრომლის სტატუსი მქონდა. აუცილებლად მინდა გავახმოვანო ფაბრიკაში არსებული მდგომარეობა - როგორ ექცევიან იქ მომუშავე ქალებს. თურქული მხარე ქართველ ქალებს მონებივით ექცევა, მიმართავენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით, თუ ხმას ვინმე ამოიღებს, ათავისუფლებენ სამსახურიდან, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ ქალებს. ზოგს პატარა ბავშვი ყავს დატოვებული სახლში, ზოგს ავადმყოფი და ტელეფონით რომ მოიკითხონ, ამის უფლებაც არ აქვთ. ამბობენ, არ გვინდა ფაბრიკაზე ინფორმაცია გაიტანოთ, ამიტომ გიკრძალავთ საუბარსო. თურქეთში ფაბრიკებში ანაზღაურება 500 დოლარია, იქ ბატონებივით იქცევიან, აქ ჩამოვიდნენ, მათხოვრულ ხელფასებს გვაძლევენ და მაინც „ბატონები“ ბრძანდებიან. იქნებ მიპასუხოს ვინმემ, ოდესმე ხომ უნდა დაგვიცვას სახელმწიფომ“?

ჩვენ დავუკავშირდით „აჭარა ტექსტილის“ წარმომადგენელს, რომელსაც აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ. მან, რომელმაც არც სახელი და გვარი გაგვიმხილა და არც დაკავებული პოზიცია, გაიგო თუა არა რაზე გვსურდა საუბარი, მოკლედ გვიპასუხა, რომ გაარკვევდა პასუხისმგებელ პირთან და პასუხებს გვაცნობებდა, თუმცა, ჩვენი რამდენიმედღიანი მოლოდინი უშედეგოდ დამთავრდა, რადგან უკვე ტელეფონზეც კი არავინ გვპასუხობს, არათუ პასუხები მივიღეთ.

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების იურისტ თამარ სურმავას განმარტებით, ზემოთ აღწერილი შემთხვევა საწარმოო ტრამვის კლასიკური მაგალითია: „უთოს აფეთქება ვერ იქნებოდა დასაქმებულის ბრალით გამოწვეული. შესაბამისად, იკვეთება დამსაქმებლის ბრალეული ქმედება - ვერ უზრუნველყო საკუთარი თანამშრომელი უსაფრთხო გარემოთი. ასეთ პირობებში კომპანიას გააჩნია ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი სრულად, რაც დასაქმებულს მიადგა. გარდა დამწვრობაზე გაწეული სამედიცინო ხარჯებისა, თუ დადასტურდება, რომ დაავადება გამოწვეულია სწორედ იმ შემთხვევით, კომპანია ვალდებულია გაწიოს ხარჯები და სრულად უზრუნველყოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორება. ხოლო თუ ადამიანი გახდა შრომისუუნარო საწარმოო ტრამვის პირობებში, კომპანია ვალდებულია დაუწესოს მას სარჩო სიცოცხლის ბოლომდე. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის ცალკეული შემთხვევა და მსგავსი რამეები ხდება. პროფკავშირები იცავს და საკმაოდ წარმატებითაც, ასეთ უკანონოდ გათავისუფლებულ მოქალაქეებს. საკმარისია, მოგვმართონ და ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით ყველა უფლებაშელახულ დასაქმებულს“.

ასეთია საქმის იურიდიული მდგომარეობა, მაგრამ რამდენად ითვალისწინებენ და ასრულებენ ამ ვალდებულებებს საქართველოში არსებული უცხოელი თუ ადგილობრივი დამსაქმებლები? თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში დასაქმებულთა უფლებების დაცვასა და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნაზე დიდად არავინ იწუხებს თავს და ზემოთ აღწერილი შემთხვევაც ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.

ასეთი დამოკიდებულებების გამო საქართველოს პროფესიული კავშირები წლებია ითხოვს, ისეთი შრომითი ინსპექციის შექმნას, რომელიც ნამდვილ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს და შეასრულებს მოვალეობას, ანუ ზედამხედველობასა და კონტროლს გაუწევს იმ უპასუხუსმგებლო დამსაქმებლებს, რომელთა დაუდევრობის გამო ზარალდებიან ჩვენი ქვეყნის დასაქმებული მოქალაქეები.

ბლიც ინტერვიუ

რის შეცვლას აპირებს რამაზ იოსელიანი

რუბრიკის სტუმარია მსახიობი, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რამაზ იოსელიანი

— დაახასიათეთ საკუთარი თავი სამი სიტყვით
— ეგ, რომ ვიცოდე რა მიჭირს!
— საიდან იწყება თქვენთვის დედამიწა ?
— არ ვიცი
— თქვენი თვალით დანახული ქალაქი..
— მინდა იყოს უკეთესი...
— თეატრი თქვენს ცხოვრებაში...
— ყველაფერია
— მიზანი...
— ფიქრი
— მიღწევა...
—შრომა
— ჰობი...
— მტრების მომრავლება!
— ოცნება...
—მირაჟი
— ღირსება და ნაკლი
— + და -
— რას შეცვლიდით ცხოვრებაში
— არაფერს
— ტყუილი და თქვენ
— მძულს
— რისი გეშინიათ ?
— უსამართლობის
— რამ შეიძლება აგაყვიროთ
— უმადურობამ
— აკვიატებული ფრაზა
— გაივლის!
— რამდენად აზარტული ხართ.
— სიგიჟემდე

— საყვარელი სასმელი
— კომპოტი
— კერძი რომელსაც საყვარელ ქალს მოუმზადებდით
— ლობიო
— წიგნი რომელიც ბოლოს წაიკითხეთ
— ზღაპრები
— მცნება მეგობრობა - როგორი მეგობარი ხართ
— ერთგული
— ღალატი
— ტალახი..
— სიყვარული ეს არის...
— ღმერთი
— ქერა თუ შავგვრემანი
— ეშხიანი
— ოჯახი...
— ბუდე
—ის რასაც ყველაზე მეტად აფასებთ ადამიანში
—ერთგულება
— ის რაც არასოდეს დაგავიწყდება
—პირველი კოცნა
— როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი 20 წლის შემდეგ
— არც კი მინდა წარმოდგენა
— რას ნანობთ?
— ყველაფერს
— რომ არა მსახიობი, იქნებოდით...
— მსხაიობი
— მხატვარი, რომ იყოთ რას დახატავდით ?
— მზის ამოსვლას
— კითხვა რომელსაც საკუთარ თავს დაუსვამდით
— რატომ, რატომ, რატომ?
— გრძნობა რომელიც ამ წამს გაქვთ?
— მალე გაგცეთ პასუხი

ესაუბრა ივეტა პაჭკორია

ლუკა კაზანჯი: „კოლხეთი, იბერია და ქალდია მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია,,

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

ჩვენი გაზეთის რუბრიკის „თანამედროვე მწერლები და პოეტების“ დღევანდელი ნომრის სტუმარი გახლავთ საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ფოთელი ლეონიდ-ლუკა კაზანჯი. მას ლექტორები სამართლის ფილოსოფიაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და „პატარა სოკრატეს“ ეძახიან.

რამდენიმე დღის წინ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე გაიმართა ლუკა კაზანჯის წიგნის: „სინათლის ფიქრები და წყვდიადის გამოცანები“-ს მიმოხილვა. ფაზისის აკადემიის წევრების შეფასებით, ქალაქს ლუკას სახით ჰყავს დიდი ფილოსოფოსი. ახლო მომავალში იგეგმება წიგნის პრეზენტაცია.

ლუკა წერს ბავშვობიდან, რაც შეეხება ფილოსოფიური ნარკვევების წერას, ფილოსოფიური წერის ტექნიკასა და მეთოდურ დამუშავებას შეუდგა მეშვიდე კლასიდან. მას ბავშვობიდან ასაკთან შეუფერებელი ინტერესები აქვს და თავიდან ბოლომდე ფილოსოფიის წიაღშია ჩაფლული.

– შენი წიგნი...

– ხება თეოგენისა და კოსმოგენიის ურთიერთმიმართებას, ჭეშმარიტების ძიების მეთოდიკას, აღმოსავლურ და დასავლურ ფილოსოფიას და ნეგატივისტურ თეოლოგიას. რაც შეეხება ამ წიგნის დანიშნულებასა და მისიას, ეს გახლავთ კოლხური ეროვნული მეხსიერების გამოღვიძება და ამ გზით აპოპათიკური მეცნიერული მწვერვალების დაპყრობა. წიგნის მიზანია საქართველოს ისტორიის ბნელ ლაბირინთში ცოდნის შეღწევა და მისი განათება.

– კითხვა დაიწყე...

– ბავშვობიდან ვკითხულობდი სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებებს - რობიზონ კრუზო, დებიტი, განძის კუნძული და ა. შ. მერე დავიწყე უფრო ისტორიული წიგნების კითხვა - „სამი მუშკეტერი“, კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, ლევ ტოლსტოის „სიდეპა“, „ანა კარენინა“, „დედოფალი მარგო“ და ა. შ. შემდგომ უკვე, დაახლოებით მეოთხე-მეხუთე კლასიდან ვკითხულობ ფილოსოფიურ წიგნებს. ყველა წიგნი, რაც ქართულადაა ნათარგმნი ამ თემაზე, წაკითხული მაქვს.

– წერ....

– პატარა ასაკიდან ვკითხულობდი წიგნებს, შემდგომ ნელ-ნელა ეს ყველაფერი განვითარდა, როგორც ადამიანი ვითარდება, ეცნობა ახალ მოვლენებს და, შესაბამისად, უმუშავდება ანალიტიკური უნარები. შეიძლება ითქვას, მეათე-მეთერთმეტე კლასში, როგორც ჩემი მასწავლებლები და არა მარტო ჩემი მასწავლებლები ამბობენ, საკმაოდ ძლიერ ფილოსოფიურ ნარკვევებს ვწერდი.

– საყვარელი ფილოსოფიური წიგნი?

– პლატონის დიალოგები... მართალია, სოკრატე ძალიან მიყვარს, ის პლატონის მასწავლებელი იყო, მაგრამ არაფერს წერდა, ზეპირად გადასცემდა თავის ცოდნას. ანაქსიმენეს ელეფსინია, ასევე ელექტრა, ალკესტი და ევრიპიდე, ელენე ბლავეცკაიაც ძალიან მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ მასონი იყო და ვერ ვიტან მასონებს, დიდი მეცნიერი იყო. ასევე გიორგი გურჯიევის სულის მექანიკა და სხვები.

– საყვარელი მწერლები და პოეტები

– მიყვარს გოეთე, თუმცა მაინც ჩემი სიწმინდე და მთავარი სანუკვარი ოცნება გახლავთ ჩემი სამშობლო, მშობლიური ლიტერატურა და მიუხედავად გოეთეს სიდიდისა და და სიდიადისა, ბუნებრივია, გოეთეზე მაღლა რუსთაველს, ვაჟას, ილიას, აკაკის და სხვა ქართველ შემოქმედებს ვაყენებ არა იმიტომ, რომ ქართველი ვარ, არამედ იმიტომ, რომ მძლავრი განცდა მაქვს ინტელექტუალური ეგზისტენციისა და, შესაბამისად, ქართველი პროზაიკოსებიდან გამოვარჩევ კონსტანტინე გამსახურდიას, პოეტებიდან შოთა რუსთაველს. თანამედროვე პროზაიკოსებიდან კი აკა მორჩილაძეს, ხოლო თანამედროვე პოეტებიდან კობა არაბულს.

–რჩევა ახალგაზრდა მწერლებს?

– ახალბედა მწერლებს ვურჩევდი, რომ, უპირველესად, უყვარდეთ თავიანთი საქმე, ყოველთვის იბრძოლონ ახალი ტიპის ინტელექტუალური ეგზისტენციების დასაუფლებლად, განივითარონ თავი ახალი უნარ-ჩვევების შეძენის სახით და რაც ყველაზე მთავარია, არ დაეყრდნონ მხოლოდ ინტელექტს და სათავე დაუდონ ახალ აზრობრივ და იდეურ ბრძოლებს, რომლებიც შემდგომ გარდაისახებიან რაღაც ახალი ტიპის ეპოქალური ცვლილებების ამამოძრავებელ პროცესებად. რაც შეხება მთავარ რჩევას, უყვარდეთ სამშობლო, უყვარდეთ უფალი და უყვარდეთ ადამიანი, როგორც ჩვენი წმინდა პატრიარქი ამბობს.

– წერ, როცა...

– წერა სულიერი აღმაფრენაა, როცა რევოლუციური იდეები მოგდის თავში, რევოლუციური იქნება თუ ევოლუციური, რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც. როცა ძველის შეცვლა გინდა ან ახლის უმართლობას ამტკიცებ და ძველის აღდგენა გინდა, ამ შემთხვევაში ეს არის აზრობრივი ბრძოლა, რომელიც შენდაუნებურად იწყება. სულ ხუთ თემაზე ვწერ - ეზოთერული ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, მითოლოგია, თეოლოგია და გენეტიკა.

– რატომ დაინტერესდი ასეთი რთული თემით?

– ჯავახიშვილს აქვს მოთხრობა „მიწის ყივილი“, მე ვიტყოდი-ფესვების ყივილი. მინდოდა, რომ კოლხეთის ნაცარწაყრილი ისტორიისთვის ნათელი მომეფინა და რაღაც ახალი შემექმნა, ახალი გზა დამესახა ისტორიის კვლევის ან ეზოთერიკის კვლევის და ასე შემდეგ. ჩემი მთავარი მიზანი და აზროვნების ქვაკუთხედი არის ისევ და ისევ ატლანტური მისტიფიკაცია, უფრო მარტივად რომ ვთქვა - საქართველო. მე თავიდანვე რთულს შევეჯახე, ბავშვობიდანვე სულ სირთულეებისკენ მივისწრაფოდი, არ მხიბლავდა მარტივი. გამიგია ფრაზა „ჭეშმარიტება სიმარტივეშია“, მაგრამ მაინც სირთულეებთან შეჯახებით უფრო დიდ სირთულეებს ვქმნიდი.

– როგორ აფასებენ ლექტორები შენს ფილოსოფიურ მისწრაფებას?

– იყო შემთხვევა, როცა სამართალმცოდნეობის შესავალს ვსწავლობდი, ლექტორს ვკითხე, თქვენი აზრით, რა არის სამართლებრივი ჭეშმარიტება? მან მითხრა - ადამიანის უფლებათა დაცვა. ესე იგი თქვენ გამორიცხავთ ვალდებულებებს? – არა. მაშინ ვალდებულებებიც და თუ ვალდებულებებს არ გამორიცხავთ, მაშინ წესრიგსაც ვერ გამორიცხავთ, ვერაო, მაშინ ვერც თავისუფლებას გამორიცხავთ, რადგან არ არსებობს თავისუფლება წესრიგის გარეშე და წესრიგი თავისუფლების გარეშე. ბოლოს მითხრა, სამართლის ფილოსოფიაში დიდი მომავალი გაქვსო. მისტიკურ საბურველშია გახვეული სამართალი. ლექტორები ამბობენ, რომ პატარა სოკრატე ვარ.

– არის თუ არა შემოქმედებითი გარემო ახალგაზრდა მწერლებისთვის დღეს და რა უნდა კეთდებოდეს ამისათვის?

– ჩემი აზრით, ახალგაზრდა მწერლებისთვის, ოღონდ კოსმოპოლიტებისთვის, ძალიან ძლიერი შემოქმედებითი გარემოა შექმნილი და გეტყვით რატომ. ის, ვინც კოსმოპოლიტიზმს მისდევს, ის, ვინც თვლის რომ ეროვნება არაფერია, ის, ვინც თვლის რომ საქართველო ოდესღაც გაქრება და რა აზრი აქვს მის სიყვარულს, ის, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლია სველ წერტილებში რაღაცების ჯღაბნა, აი მათთვის ძალიან კარგი შემოქმედებითი გარემოა შქმნილი, მაგრამ, ბესიკ ხარანაულს, ლია სტურუას, ეთერ თათარაიძეს, კობა არაბულს და ასეთ ადამიანებს, სამწუხაროდ, ჩვენს ტელევიზიებში ვერ ვხედავთ ხშირად. გაზეთებში ვხედავთ, მაგრამ ტელევიზიებში არა. ჩემი აზრით ეს მიზანმიმართულად კეთდება, რადგან ქართული ლიტერატურა გადადის ვითომ, როგორც კომუნისტებს ეგონათ, უკანა პლანზე. ლიტერატურა სულის სალბუნია და მაცოცხლებელი წყაროა თითოეული ეთნოსის. ქართველი, რატომღაც მგონია, რომ ყველაზე აღმატებული ერია და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, დაწყებული სოკრატედან გაგრძელებული ანაქსიმენეთი, ეპიკურეთი, დემოკრიტეთი და დამთავრებული ჰეგელით, კანტით და ფუერბრახით და ბლუენბრახით ყველა ჩვენ გვაქებდა და გვადიდებდა. ზურაბ ქარუმიძე და რატი ამაღლობელი გაჩნდნენ ჩვენი მაძაგებლები. ეს პარადოქსია, როცა უცხოელი გაქებს და შენი თანამოძმე შენს დაკნინებას ცდილობს სხვის თვალში, ეს არის ანტი ქართველური ფენომენი. ჩემი აზრით, საქართველოს ხსნა არის გაერთიანება, ძალა ერთობაშია, მაგრამ გაერთიანება გააჩნია ვისთან, ეს უნდა იყოს ისეთთან, ვისაც უყვარს საქართველო, ვისაც გაცნობიერებული აქვს ქართული ეროვნული მეხსიერება, არა სამოქალაქო, არამედ ნაციონალური ცნობიერება და ისეთი, ვინც იცნობს საქართველოს ისტორიას. როგორც ნიკო მარი იტყოდა, საქართველოს ისტორიის პერიპეტიების შესწავლის გარეშე მსოფლიოს წარსულს ნათელი ვერ მოეფინებოდა. მე იმიტომ ვიბრძვი, რომ დღევანდელობა შევცვალო და ეროვნული სულიერება გამოვაღვიძო. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ საქართველო, მსოფლიო ხალხები უნდა გაერთიანდეს კოსმოპოლიტური ტირანიის წინააღმდეგ.

– შენი თანატოლები და შენ?

– ყველაზე დიდი ტრაგედია ის არის, რომ როცა საქართველოს ისტორიაზე ვიწყებ საუბარს, ჩემს თანატოლებს ჰგონიათ, რომ ზღაპრებს ვყვები. მათ ჰგონიათ, რომ დავით აღმაშენებელს მართლა არ მოუგია დიდგორის ომი, აიეტი საერთოდ არ არსებობდა და ა. შ. მათ უფრო აინტერესებთ ჰოლივუდის მსახიობები, ბოლივუდი, შოუბიზნესი და ყვითელი პრესა. მათთვის საქართველოს ისტორია კი არა, ზოგადად ისტორია, ფილოსოფია, ეზოთერიკა, ლიტერატურა მისაღები არ არის, თუმცა ყველაზე ვერ ვიტყვით, რა თქმა უნდა, ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ, არიან გამორჩეული ახალგაზრდებიც (ჩემზე უკეთესებიც). მაიას ცივილიზაცია ყველას გაგვიგია, დღემდე ვერავინ ამოიცნო მისი საიდუმლო, არავინ იცის საიდან მოვიდნენ, სად წავიდნენ, ვინ იყვნენ, არც ინდიელთა დიალექტზე, თუ ენაზე არ იშიფრება ეს სიტყვა და მე, რა თქმა უნდა, გარკვეული ტიპის მეცნიერების ზეგავლენით ეს სიტყვა გავშიფრე კოლხურად, ეს სიტყვა ნიშნავს „მე აია“, ანუ მე კოლხეთი. სად კოლხეთი, სად მაიაო შიძლება მკითხოთ, მაგრამ კოლხეთს ისეთი ძლიერი ფლოტი ჰყავდა, რომ მას თავისუფლად შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მოგზაურობა და იქ თავისი კულტურული მიღწევების გავრცელება. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ ადამი და ევა ქართველურად ლაპარაკობდნენ. არც ისაა ლუკა კაზანჩის აღმოჩენილი, რომ კოლხეთი, იბერია და ქალდია მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია. ახალგაზრდებს რაც შეეხება, იმ საშინელებას კოსმოპოლიტიზმის სახით, ნაციონალური მთავრობები ხელს უწყობენ. ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში, ჩვენ უნდა დავამარცხოთ კოსმოპოლიტიზმის დიქტატურა და გამოვაღვიძოთ ნაციონალიზმი, არა რასიზმი, არამედ ნაციონალიზმი.

–შენი ჰობი...

–კითხვა...

–შენი აზრით, რა ასაკიდან უნდა დაიწყოს ბავშვმა კითხვა?

–როგორც კი კითხვას ისწავლის. მე თუ მკითხავთ, კითხვა უნდა დაიწყო რთულით, შეიძლება ალოგიკური იყოს, მაგრამ ყველაფერი ლოგიკით არ აიხსნება. როცა შეიმეცნებ რთულს, მაშინ მარტივი უფრო მეტად გაგიადვილდება.

,,კოლხეთი -1913,, ძველი დიდების დაბრუნებას გეგმავს...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

გასულ წელს ფოთის „კოლხეთი-1913“ იმდენად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ გუნდის ლიკვიდაციაც კი იგეგმებოდა. არასწორმა მენეჯმენტმა კლუბს მხოლოდ ვალები დაუგროვა. კლუბის ფინანსური პრობლემები სათავეს 2018 წლიდან იღებს, როდესაც კლუბის დირექტორმა დავით ბუკიამ გუნდი მთლიანად უცხოელი ლეგიონერებით დააკომპლექტა, მწვრთნელიც კი უცხოელი გახლდათ, რომელიც ხშირად იცვლებოდა, მაგრამ ისევ უცხოელით. 2018 წლის ბოლოს გუნდი უმაღლესი ლიგიდანაც გავარდა. ამ დროისათვის კლუბის დავალიანება 200 ათას ლარს აღწევდა. 2018 წლის ბოლოს ლეგიონერებს ხელშეკრულების ვადა ამოეწურათ და მათ კი გაგრძელება არ ისურვეს. მეტიც, ერთ-ერთმა ფეხბურთელმა კლუბს ფიფაში უჩივლა დავალიანების გამო.

2019 წლის დასაწყისისთვის კლუბი დირექტორის გარეშეც დარჩა. ახალი დირექტორი გასული წლის ზაფხულში დაინიშნა. ის ყოფილი ფეხბურთელი ზაზა ინიაშვილია, რომელსაც კლუბი ურთულეს მდგომარეობაში დახვდა. დავალიანების გადახდაში კლუბი დახმარებას ადგილობრივ ხელისუფლებასა და ბიზნესმენებს თხოვდა. თუმცა, დახმარება ჭიანურდებოდა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ კლუბმა დავალიანება გაისტუმრა და იმედი გაჩნდა, რომ ფოთის „კოლხეთი 1913“ კვლავ საფეხბურთო ელიტას დაუბრუნდება და გულშემატკივარს მისკენ შემოაბრუნებს.

კლუბში ამჟამად არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე კლუბის დირექტორ ზაზა ინიაშვილს ვესაუბრეთ:

– რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, გუნდი ახალი სეზონიდან იწყებს მესამე ლიგაში თამაშს. ფოთის გუნდს, თავისი ისტორიიდან გამომდინარე, არ ეკადრება მესამე ლიგაში ყოფნა, მაგრამ ბოლო წლებში კლუბში განვითარებულმა მოვლენებმა, მიიყვანა გუნდი ამ მდგომარეობამდე. წელს „კოლხეთი-1913“ იბძოლებს მეორე ლიგაში დასაბრუნებლად და ეტაპობრივად უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასაც შეძლებს. ეს არის ჩვენი მიზანი და მის განსახორციელებლად ჩაერთო თითქმის მთელი ქალაქი. მადლობელი ვარ იმ ბიზნესმენებისა, რომლებიც გასულ წელს დაეხმარნენ გუნდს კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლაში. როცა გუნდში მოვედი, ძალიან რთული მდგომარეობა იყო. გუნდის ლიგიდან გავარდნაზე კი არა, გუნდის ლიკვიდაციაზე იყო საუბარი ვალების გამო. ეს რთული პერიოდი გადავლახეთ, ვალები გასტუმრებულია და აქედან გამომდინარე, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომელთა დახმარებითაც გადარჩა გუნდი. რამდენადაც ვიცი, წელსაც თავის წვლილს შეიტანენ გუნდის განვითარებაში.

– ვინ დაგეხმარათ ვალების გასტუმრებაში?

– განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ოთხი თევზის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლებმაც ძირითადი სპონსორობა აიღეს ფოთის „კოლხეთზე“. ქალაქის ხელმძღვანელობამაც ბიუჯეტიდან 55 ათასი ლარი ჩაურიცხა გუნდს.

– გასულ წლის გაზაფხულზე, გუნდის პრობლემების გამო საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა გამოიჩინა ინიციატივა, რომ ბიზნესმენების მხარდჭერით შექმნილიყო ფონდი. ბიზნესმენების შეხვედრაც შედგა, სადაც გუბერნატორიც იყო მოწვეული. ბიზნესმენების სიტყვიერი თანხმობის მიუხედავად, ფონდი რეგისტრაციამდეც ვერ მივიდა...

–– ფონდის შესახებ არ ვიცი, მაგრამ ეს იყო ჩემი და მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივა და ქალაქში არსებული ოთხივე თევზის ქარხანა ამოგვიდგა მხარში.

– ფოთელი ბიზნესმენები ერთმანეთს ელოდნენ გუნდისათვის დახმარების გაწევაში, თან ამის დიდი სურვილი არ გააჩნდათ, ყოველ შემთხვევში ჩვენთან კერძო საუბარში ამას არც მალავდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ მათ ამით მოგება არ ექნებოდათ...

– ფოთის „კოლხეთი“ არ არის იმ დონეზე, მოგება რომ მოიტანოს, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს „კოლხეთი-1913“ ქართულ ფეხბურთის ელიტაში დასაბრუნებლად, ხოლო ფინანსურ მოგებაზე და კონტრაქტებზე მერე უნდა ვიფიქროთ, რომელიც გაყიდული ფეხბურთელებიდან, ბილეთებიდან თუ აბონომენტებიდან შემოვა. როცა ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება და

გუნდიც მომძლავრდება, მოგებაც იქნება. სულ მალე ცენტრალურ სტადიონს ემატება კიდევ ორი ტრიბუნა და ნელ-ნელა ყველაფერი წინ მიიწევს.

– როგორი ფინანსებითა და შემადგენლობით ხვდება კლუბი ახალ სეზონს?

– 250 000 ლარით ქართული ფებურთის განვითარების ფონდი გვაფინანსებს, ამას გარდა, თევზის გადამამუშავებელი ოთხივე ქარხნიდან ეტაპობრივი დახმარება გვაქვს, ასევე სპონსორულ 100 ათას ლარზე ფეხბურთის ფედერაცია დამატებით 100 ათას ლარს დაამატებს, დაპირება სხვა ბიზნესმენებისგანაც გვაქვს. გუნდი გაძლიერდა ფეხბურთელებით, რამდენიმე გამოცდილი ფოთელი ფეხბურთელი დაუბრუნდა გუნდს - ლაშა გვალია, დავით მეგრელიშვილი, ნიკა გაბელაია, ლაშა გოგონაია. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ნათამაშევი აქვთ უმაღლეს ლიგაში და თავისი გამოცდილებით აუცილებლად წაადგებიან ფოთის კოლხეთს. ამის გარდა გვყავს სხვადასხვა გუნდში მოასპარეზე ჩამოსული ფეხბურთელები, ისინიც მაქსიმუმს გაიღებენ გუნდისთვის. ჩვენი ბიჭები ქალაქის სიყვარულით დაბრუნდნენ გუნდში. ხედავენ უკვე გამოსწორდა მდგომარეობა. კლუბის ხელმძღვანელებს ფოთის კოლხეთის ფეხზე წამოყენება უნდათ და მათაც სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ კლუბის წინსვლაში. ჩემი აზრით, ჩვენი ფეხბურთელები უფრო კარგ ლიგასაც იმსახურებენ და თავისუფლად ითამაშებენ იქ, მაგრამ სიტუაციაციიდან გამომდინარე, თანახმა არიან ფოთის კოლხეთით მესამე ლიგაში ითამაშონ. 14 ფოთელია კლუბში და 8 ჩამოსული. ზოგი ოზურგეთიდანაა, ზოგი თბილისიდან, სამტრედიიდან გვყავს 3 მოთამაშე. როგორც კი პირველი ვარჯიში ჩაატარეს ამ ბიჭებმა ფოთის კოლხეთში, მას მერე ჩემთვის ისინი ფოთელები არიან და სხვა რას ფიქრობს, არ ვიცი. ერთი რაღაც მინდა ვთქვა ხაზგასმით - ფოთელობა არ ნიშნავს ფეხბურთელობას, მარტო ფოთელებით გუნდს ვერ გააკეთებ და არც მხოლოდ ჩამოსულებით უნდა გააკეთო გუნდი. მაქსიმალურად უნდა ეცადო, რომ ბალანსი იყოს გუნდში დაცული. ფოთელსაც უნდა ჰქონდეს თავის ქალაქში თამაშის უფლება და იმ რაოდენობით არ უნდა ჩამოიყვანო სხვა ქალაქებიდან ფეხბურთელები, ფოთელს არ ჰქონდეს ადგილი კლუბში.

– ფოთის კოლხეთს ფოთის პორტი წლების განმავლობაში სპონსორობდა. წლებია, ფოთის პორტი არანაირ დახმარებას აღარ უწევს კლუბს. თქვენი კლუბში მოსვლის შემდეგ ხომ არ შეცვლილა პორტისა და „კოლხეთი 1913“ ურთიერთობა?

– პორტის ხელმძღვანელობასთან ვერ მივაღწიეთ შეხვედრასაც კი. გვინდა, მათ ვუთხრათ - ფოთის „კოლხეთი“ ყოველთვის იყო ძლიერი მაშინ, როდესაც სპონსორობდა ფოთის პორტი. ჩვენ არ ვიძახით გუნდის მფლობელობაზე და დიდ თანხებზე, უბრალოდ, სპონსორული დახმარებით გვერდში დაუდგეს გუნდს. სამწუხაროდ, მოლაპარაკებაზეც არ მოდის, იქნება და რას ვეუბნებით? ეს ქალაქისთვის მარტო სპორტი არაა, ქალაქისათვის ფოთის „კოლხეთი 1913“-ს სხვა ნიშა და დანიშნულება აქვს. მით უმეტეს, ფოთის „კოლხეთი“ ყოველთვის ასოცირდებოდა ფოთის პორტთან. ამიტომ ვთხოვ პორტის ხელმძღვანელობას, თუ არ დაგვეხმარება, დაგველაპარაკოს მაინც.

ეროვნულ ჩემპიონატზე ფოთელმა მძლეოსნებმა წარმატებით იასპარეზეს

თბილისში მძლეოსნობაში 2004-2006 წლებში დაბადებულთა შორის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაიმართა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მძლეოსნებმა.

ნიკო ჩაგანავამ მოიპოვა I ადგილი, 1500 მ. დისტანციაზე, დრო - 4 წთ.27 წმ.

საბა მარღანიამ - I ადგილი, 400 მ. დისტანციაზე, დრო - 55 წმ. ჩემპიონატისთვის მძლეოსნები მოამზადა მწვრთნელმა ჯეირან ხოფერიამ.

მანჩო ჩემიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში

საკალათბურთო დარბაზში მანჩო ჩემიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში 2009 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის, გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ: მარტვილის ,,დინამო'', ლანჩხუთის ,,გურია'', სენაკის ,,ეგრისი'' და ფოთის ,,კოლხეთი''. ტურნირი ჩატარდა 3 ტურად წრიული სისტემით. ტურნირში გამარჯვება 7 ქულით მოიპოვა სენაკის ,,ეგრის''-მა, რომელმაც I ტურში ფრედ 4:4 ითამაშა ლანჩხუთის ,,გურია''-სთან. II ტურში 5:1 დაამარცხა ფოთის ,,კოლხეთი'', ხოლო III ტურში კი სძლია მარტვილის ,,დინამო''-ს ანგარიშით 4:2. სენაკის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი გახლავთ თამაზ ხუხუა.

II საპრიზო ადგილი 4 ქულით მოიპოვა მარტვილის ,,დინამო''-მ, რომელმაც I ტურში დაამარცხა ფოთის ,,კოლხეთი'' ანგარიშით 6:4. II ტურში ფრედ ითამაშა ლანჩხუთის ,,გურია''-სთან, ხოლო III ტურში ორთაბრძოლა დათმო სენაკის ,,ეგრის''-თან ანგარიშით 2:4. მარტვილის ,,დინამო''-ს მწვრთნელი გახლავთ ოთო ბერიშვილი.

III საპრიზო ადგილი 3 ქულით წილად ხვდა ლანჩხუთის ,,გურია''-ს, რომელმაც I ტურში ფრედ ითამაშა სენაკის ,,ეგრის''-თან ანგარიშით 4:4. II ტურში მარტვილის ,,დინამო''-სთან მატჩი დაასრულა ანგარიშით 4:4 და III ტურში ფოთის ,,კოლხეთ''-თან ანგარიშით 1:1. ლანჩხუთის ,,გურია''-ს მწვრთნელი გახლავთ მიხეილ ჩხაიძე.

ტურნირის საუკეთესო მეკარე გახდა აჩი გვაზავა - ფოთის ,,კოლხეთი'';

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი - საბა ცანავა - ლანჩხუთის ,,გურია'';

ტურნირის ბომბარდირი 7 გატანილი ბურთის - ნიკოლოზ გაბისონია - მარტვილის ,,დინამო''.

გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით.

საქართველოს პირველობა კრივში

ქუთაისში გაიმართა საქართველოს პირველობა კადეტ მოკრივეთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოკრივეებმა.

I ადგილი - ლუკა ბასარია, 50 კგ წონით კატეგორია, ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი „ლიდერი'' მწვრთნელი ბესო მანჯავიძე.

I ადგილი - საბა ტყებუჩავა, 54 კგ წონით კატეგორია, ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი „ლიდერი'' მწვრთნელი ლაჩა ოჩიგავა.

I ადგილი - ირაკლი ჯანელიძე, 70 კგ წონით კატეგორია, ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი „ლიდერი'' მწვრთნელი თემურ ოჩიგავა.

III ადგილი - გიორგი გაბეჩავა, 63 კგ წონით კატეგორია, კრივის სასპორტო სკოლა, მწვრთნელი დავით დავთიანი.

ეს საინტერესოა

ქალაქ სანტ-ლუისში მეხანძრეებს ეკრძალებათ არა მარტო შიშველი ქალბატონების, არამედ ხალათში ან ღამის პერანგში ჩაცმული მანდილოსნების გადარჩენაც

კენტუკის შტატში დანაშაულად ითვლება ლურჯად გადაღებილი იხვის ჭუკების გაყიდვა თუ მათი რაოდენობა 6-ზე ნაკლებია

კალიფორნიაში ცხოველებს სქესობრივი კავშირი ეკრძალებათ სკოლიდან, ეკლესიიდან და საზოგადოებრივი კვების ობიექტიდან 500 მეტრზე უფრო ახლო მანძილზე.

კალიფორნიაშია დაწესებული სიჩქარის ლიმიტ მძღოლის გარეშე მოძრავ ავტომობილებზე: მათი სიჩქარე საათში 60 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს

კალიფორნიაში აკრძალულია მოძრავი ავტომობილიდან ნებისმიერი ცხოველისათვის ტყვიის დაშენა. აქვე გამონაკლისიც: თუი მანქანით მისეირნობთ და სადმე ვეშაპი შენიშნეთ, ესროლეთ რამდენიც გინდათ კალიფორნიაში იკრძალება სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს ტირილი.

ინდიანას შტატში ოქტომბრის თვიდან აპრილამდე აკრძალულია აბაზანაში ბანაობა, ღვინის მაღაზიაში რძის გაყიდვა და ორალური სექსი

შვედეთში მკაცრად არის განსაზღვრული სად შეიძლება რწყევა და სად არა. (მეზობელზე მირწყევა სასტიკად აკრძალულია)

შოტლანდიაში მოქალაქე ვალდებულია ყველას გაუღოს სახლის კარი ვინც ღამის ქოთნით სარგებლობას ითხოვს

ირლანდიაში ვინც განაცხადებს რომ რამე ზებუნებრივ ძალას ან საიდუმლოს ფლობს 1 წელი დაასვენებენ ციხეში.

დანიის ციხეებიდან გაქცევა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება

ინგლისში მამაკაცს უფლება აქვს ხალხის თვალწინ მოფსას თუ ამ დოს მარჯვენა ხელი მანქანაზე უდევს და შარდი ამ მანქანის უკანა ბორბლისკენაა მიმართული

დიდ ბრიტანეთში ასევე იკრძალება: საწოლის ფანჯარაზე ჩამოკიდება, 25 დეკემბერს ტკბილი ღვეზელის ჭამა, ორალური სექსი და თავის ჩელსელ პენსიონერად გასაღება

საფრანგეთში ცხოველზე ნაპოლეონის დარქმევა კანონით ისჯება

ნორვეგიაში ძუკნა ძაღლებისა და ხვადი კატების სტერილიზაცუია კანონითაა აკრძალული ხოლო მათი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების — არა

ავსტრალიაში აკრძალულია შავი ტანსაცმლით სიარული თუ მოქსოვილი ფეხსაცმელი გაცვიათ და სახეზე გუტალინი (არ ვიცი რა არის) გისვიათ.

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაზე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.